პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 14 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ. თბილისში 80 კ.

# წითელი არმიელი

№ 81 (779) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## [კ]ომინტერნის აღმასკომის პლენუმის დასრულების გამო.

[...]ამ დღეებში დაასრულა თა[...]ი მუშაობა კომუნისტური [ინ]ტერნაციონალის აღმასკომის [პლ]ენუმმა. ამ მორიგი პლენუ[მი]ს ძირითადი საკითხი იყო და[ს]ავლეთის კომპარტიების ბოლ[შე]ვიზაციის საკითხი.

1923 წლის ნოემბერში და[ма]რცხდა გერმანიის პროლეტა[რი]ატის გამოსვლები. ამ დღი[იდ]ან კაპიტალიზმი ერთგვარ ძა[ლ]ას იკრებს. ბურჟუაზიული [ქვ]ეყნების სამეურნეო მდგომა[რე]ობა უფრო მტკიცე ხდება. [მა]გრამ კაპიტალიზმის ასეთი [სტაბი]ლიზირება არ არის საბო[ლოო], ვინაიდან ძირითადი [წი]ნააღმდეგობანი, რომლე[ბი]ც საფუძვლად უდევს კა[პი]ტალისტურ წესწყობილებას, [არა]მც თუ არ არის თავიდან [აც]ილებული, არამედ გაორკე[ცე]ბულია და თანდათან არყევს [ბ]ურჟუაზიული სახელმწიფოს [სა]ძირკველს. მაგრამ დღეს, რო[გო]რც ზევით აღვნიშნეთ, კაპი[ტ]ალიზმი საგრძნობლად გაძლი[ე]რდა. ეს სამეურნეო გამოცო[ც]ხლება დაეტყო რევოლიუც[ი]ონურ განწყობილებასაც. რე[ვ]ოლიუციონური სიტუაცია ამ[ჟა]მად არ არის ევროპაში, თუ[მცა]ცა ობიექტიურად ის განაგრ[ძ]ობს არსებობას. ყოველივე [ა]მან, როგორც მოსალოდნელი [ი]ყო, გამოიწვია დასავლეთ კო[მ]პარტიების ზოგიერთ ფენებში [ს]ულმედობა, მერყეობა. აქა-იქ [შ]ემჩნეულ იქნა გადახრანი კო[მ]უნისტური სწორი ხაზიდან. [გ]ადახრა მარჯვნივ და მარც[ხ]ნივ.

დღევანდელი მომენტი ძნე[ლ]ი და რთულია დასავლეთის კომუნისტური პარტიების მუ[შ]აობაში. და სწორედ დღეს, როგორც არას დროს, საჭი[რ]ოა მტკიცე ბოლშევიკური, ლენინური შეუდრეკლობა, სწორი ბრძოლის წარმოება კაპიტალისტების წინააღმდეგ, მუშათა კლასის მტკიცე ხელმძღვანელობა, მთლიანობისა და მჭიდრო კავშირის დაცვა საკუთარ რიგებში.

ამიტომ დასავლეთ ქვეყნების კომუნისტურ პარტიების წინაშე სდგას საკითხი—მოახდინონ ბოლშევიზაცია თავიანთ რიგებში და მსგავსად სახელოვანი რუსეთის კომუნისტური პარტიისა, გახადონ თავიანთი პარტია ნამდვილ ლენინურ პარტიად.

საკითხი ბოლშევიზაციის შესახებ გადაჭრილ იქნა ჯერ კიდევ კომინტერნის მეხუთე კონგრესზე. მას შემდეგ. მრავალ ქვეყნის კომპარტიებმა წარმატებით შესძლეს ამ ამოცანის ჩატარება; მაგრამ მიუხედავად ამისა, კაპიტალიზმის ერთგვარმა მოლონიერებამ მაინც გამოიწვია კომპარტიის რიგებში გადახრანი მარჯვნით.

უკანასკნელმა პლენუმმა სასტიკად დაჰგმო ამგვარი გადახრანი, ჯამი გაუკეთა კომპარტიების მიერ ჩატარებულ მუშაობას ბოლშევიზაციის საქმეში და აღნიშნა ახალი პრაქტიკული ზომები ამ მიმართულებით.

უკანასკნელმა პლენუმმა კიდევ ერთხელ და გარკვევით დაგვანახა, რომ მიუხედავად კაპიტალიზმის ერთგვარი მოლონიერებისა, კომინტერნის ძალები არამც თუ არ სუსტდება, არამედ პირიქით, განუწყვეტლივ იზრდება და ძლიერდება.

ერთგული თავისი გენიალური ბელადის—ლენინის ანდერძებისა, კომინტერნი შეუპოვრად მიდის წინ მსოფლიო რევოლიუციის გზით.

## გლეხის ცენტრალური სახლი.

მიმდინარე წლის 6 აპრილს ქ. თბილისში ოფიციალურად გაიხსნა გლეხის ცენტრალური სახლი, რომლის დანიშნულებას შეადგენს გაუწიოს ყოველგვარი სამსახური და სათანადო დახმარება ულარიბეს გლეხებს რომლებიც სხვა და სხვა საზოგადო, ანუ თავის პირად საქმეებზე ჩამოდიან ქ. თბილისში.

სახლის გახსნის შემდეგ თბილისში ჩამოსულ ულარიბეს გლეხებს საშუალება ეძლევათ გაათიონ ღამე აღნიშნულ სახლში, მიიღონ ყოველგვარი დახმარება, რჩევა-დარიგებანი თავიანთ საჭირ-ბოროტო საკითხებზე და სხვა.

სახლი კარგათაა მოწყობილი ღამის გასათევი სუფთა ოთახებით, სასადილოთი, აბანოთი, სამკითხველოთი და სხ.

ამავე სახლის შენობაში მოთავსებულია გაზეთი „ახალი სოფლის“ რედაქცია, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ჩამოსულ გლეხებს ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ანუ პირად საკითხების მოგვარება-გადაჭრაში.

როგორი მნიშვნელობა აქვს გლეხთა ცენტრალური სახლს ჩვენი ნაწილებისათვის?

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი წითელი არმია შესდგება ულარიბეს მუშებისა და გლეხების შვილებისაგან.

ხშირია შემთხვევა, რომ შორეულ სოფლებიდან თბილისში ჩამოდიან წითელ-არმიელების სანახავათ მშობლები. წითელ-არმიელს არა აქვს საშუალება გაათევიოს ღამე თავის მშობლებს. უკანასკნელები იძულებულნი არიან გაათიონ ღამე სადგურებზე, კერძო სასტუმროებში და ზოგჯერ ცის ქვეშაც. ულარიბეს გლეხებს არა აქვთ საშუალება დაიჭირონ სასტუმროს ოთახები და ხშირათ გარეთ დარჩენით, ცივდებიან, ხდებიან ავათ სხვა და სხვა ავათმყოფობით და სხვა.

ღარიბ გლეხების აუტანელ მდგომარეობას ამ დარგში მიაქცია ჯეროვანი ყურადღება საბჭოთა ხელისუფლებამ და გახსნა გლეხთა სახლი, რომელიც მოთავსებულია ყოფ. სასტუმრო „ლონდონის“ შენობაში, კომუნარების (ალექსანდროვის) ბაღის ახლოს, კ. მარქსის (ყოფ. ვარანცოვის) ხიდის დასაწყისთან.

საჭირო იქნება ამ სახლის არსებობის შესახებ ყველა წითელ-არმიელმა მისწეროს თავის მშობლებს წერილი და თუ ოდესმე უკანასკნელებს მოუხდებათ თბილისში ჩამოსვლა, იმ შემთხვევაში ღამის გასათევათ და ყოველგვარ რჩევა-დარიგების მისაღებათ მიმართონ გლეხთა ცენტრალურ სახლის მმართველობას.

მ. ს.-ძე.

# ახალი რადიო-ამბები

## ერიოს მთავრობის გადადგომის შემდეგ.

### გამოურკვეველი მდგომარეობა.

ერიოს მთავრობის გადადგომის შემდეგ საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობა გაურკვეველია. იბადება საკითხი, თუ რომელ მიმართულებას უნდა დაეყრდნოს ახალი მთავრობა.

ერთის მხრივ მემარცხენე ბლოკის მტრებიც კი ამბობენ, რომ მთავრობაში უნდა იყოს მემარცხენე ბლოკის უმეტესობა.

მეორეს მხრივ უდავოა ის, რომ სენატის რეაქციონური უმეტესობა არ მისცემს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას ახალ მთავრობას.

სენატის წრეებში ფიქრობენ, რომ სენატი რესპუბლიკანური კოალიციური მთავრობის მომხრე იქნება იმ შემთხვევაში, თუ სათავეში იქნებიან რადიკალები, რომლებიც არ იქნებიან შებოჭილი რაიმე ვალდებულებით სოციალისტებთან.

უფრო დასაჯერებელია კოალიციური სამინისტროს შედგენა ბრიანის (ცენტრი), ლუშერისა (მემარჯვენე) და დემონზის (ცენტრი) მეთაურობით.

## მოსალოდნელია პენლევეს კანდიდატურა პრემიერის ადგილზე.

ფიქრობენ, რომ შესაძლებელია პენლევე დასთანხმდეს მთავრობის შედგენაზე და შევიდეს შიგ პრემიერისა და სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე.

პენლევეს თათბირი ჰქონდა მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

## ორგვარი მიდრეკილება.

საფრანგეთის რადიკალ-სოციალისტების პარტიამ სენატში და პალატაში გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც სცნობს ერიოს დამსახურებას და აცხადებს, რომ რადიკალ-სოციალისტების პარტია მიემხრობა მხოლოდ იმ მთავრობას, რომელიც გააგრძელებს მემარცხენე ბლოკის პოლიტიკას.

სოციალისტებს შორის შემჩნეულია ორი მიდრეკილება: ?ლომისა და რენოდელის ჯგუფს განზრახული აქვს დარჩენ მთავრობის მომხრე. პოლ ბონკურის ჯგუფი მომხრეა მემარცხენე ბლოკის მთავრობის გაფართოების სოციალისტებით. პირველი მიდრეკილება უფრო ძლიერია.

## პენლევემ უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე, რაიც პრეზიდენტმა მიანდო შემდეგ ბრიანს.



ბ რ ი ა ნ ი.

როგორც რადიო გადმოგვცემს პენლევემ უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე. პრეზიდენტ დუმერგმა სთხოვა ბრიანს კაბინეტის შედგენა. ბრიანმა შეჰპირდა პასუხის მიცემა მეგობრებთან მოლაპარაკების შემდეგ.

ბრიანმა სოციალისტებთან განაცხადა, რომ ის ანგარიშს გაუწევს ამ საკითხის გადაჭრაში მემარცხენე ბლოკს, რომელმაც უკანასკნელ არჩევნებში ხმის უმეტესობა მიიღო.

რადიკალ-სოციალისტებთან ბრიანმა გამოსთქვა სურვილი სოციალისტების მთავრობაში მონაწილეობის შესახებ.

შემდეგ მან განაცხადა, რომ კვლავ შეეცდება დაითანხმოს პენლევე მთავრობის შედგენაზე.

პრესის წარმომადგენლებთან მან განაცხადა, რომ მემარცხენე ბლოკმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის შედგენაში. მან დაუმატა, რომ ის არ შეუდგება მთავრობის შედგენას, თუ მას არ ეყოლება ბევრი მომხრე.

## მეფის თათბირი თავის ლაქიებთან

ბელგიის მეფემ ითათბირა ბელგიელ სოციალისტებთან —ვანდერველდესა და ვეტერსთან პრეზიდენტის მოადგილეობის დაჭერის შესახებ დეპუტატთა პალატაში და სენატში.

ამ დღეებში ბელგიის სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელზედაც უნდა გადასწყდეს მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობის საკითხი.

## პირველი კომუნისტი დეპუტატები ბელგიის პარლამენტში

სერენის (სამრეწველო ქალაქია ბელგიაში) მუშებმა მოაწყვეს დიდი მანიფესტაცია.

10.000 მეტი მუშა მიესალმა კომუნისტების დეპუტატებს—მაკმოტსა და ობერსტრატენს.

## ახალგაზრდათა კომინტერნის გაფართოებული პლენუმი.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა ჩაპლინმა, რომელმაც განაცხადა:

— კავშირის მთავარი ამოცანებია პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცება, პარტიული ძირითადი ჯგუფის გაძლიერება კომკავშირში, მუშური ახალგაზრდობის ხელმძღვანელობითი როლის უზრუნველყოფა სოფლად, ახალგაზრდობის ინტერესთა და ეკონომიურ მდგომარეობის დაცვა; ლენინური აღზრდა და კავშირის ბოლშევიზაცია; კომკავშირის ხელმძღვანელობის გაძლიერება პიონერთა ორგანიზაციებში.

პლენუმის საბოლოო სხდომა მოხდება 18 აპრილს.

## ებრაელთა დარბევა რუმინეთში.

რუმინეთის რამოდენიმე ქალაქში ფაშისტ სტუდენტებმა მოახდინეს ებრაელთა დარბევა. მათ ამ საქმეში ხელმძღვანელობდა ერთი ცნობილი შავრაზმელი პროფესორი. პოლიცია ებრაელთა დარბევის დროს არავითარ ზომებს არ იღებდა.

# ა.-კ. საბჭოთა მესამე ყრილობა.

## მესამე სხდომა.

(11 აპრილი.)

გრძელდება კამათი მთავრობის მოხსენების გარშემო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. რაფიევმა (ბორჩალოს მაზრა), **სოლოღაშვილმა** (გარე-კახეთიდან), **ხემკოვმა**, **იბრაგიმ-კიზიმ**, (ლენქორანიდან) **ტრაპაიძემ** (გურიიდან) და სხვებმა.

ყველა ისინი მიესალმენ საბჭოების მე-3 ყრილობას და მეორეს მხრივ დაწვრილებით აღწერდენ თვითეულ მაზრის გლეხობის მდგომარეობას.

საბოლოო სიტყვაში ამხ. **მამია ორახელაშვილმა**, აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ღრმად შეიჭრა ხალხის გულში, რომელიც ამ უკანასკნელმა შეისისხლხორცა. მან იმედი გამოსთქვა რომ შემდეგი ყრილობა კიდევ უფრო დიდ მიღწევებს გამომხეურებს. ამის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც მთავრობის მუშაობა მოწონებულია.

**სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.**

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. **გუსეინოვმა**. მან აღნიშნა რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადები თანდათანობით უმსუბუქდება მშრომელ გლეხობას.

**მოსავლის მიხედვით.**

ა. კ. სახ. კომ. საბჭომ გამოსცა დეკრეტი სადაც მთელი გადასახადი უნდა განაწილდეს 9 ჯგუფად და იქნეს გაწერილი იგი მოსავლიანობის მიხედვით. ეს საგრძნობლად წინ სწევს ჩვენი გლეხობის ინტერესებს.

**ნაკლი.**

ჩვენს სასოფლო სამეურნეო გადასახადის სისტემაში არის ზოგიერთი ნაკლი, რომელსაც დაფარვა არ ესაჭიროება. აღსანიშნავია სხვათა შორის შემდეგი:—გადასახადების რაოდენობის დაწესება გაზაფხულზე. ეს ნაკლები მოითხოვენ სასწრაფო გამოსწორებას.

შემდეგ ამხ. გუსეინოვი შეეხო სასოფლო სამეურნეო გადასახადის მომავალ გეგმას, რომელიც საგრძნობლად უმსუბუქებს გადასახადთა მძიმე ტვირთს მშრომელ გლეხებს.

ამხ. გუსეინოვის მოხსენების შემდეგ სხდომა დაიხურა ღამის 9 საათზე.

**12 აპრილი. მეოთხე და მეხუთე სხდომა.**

დილის სხდომაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩხენკელი სასოფლო-სამეურნეო სესხის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკს დაარსებული აქვს მრავალი გამსესხებელი პუნქტები, რითაც ხელს უწყობენ ჩვენი სასოფლო მეურნეობის აყვავებას რომ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა მომავალში ამ გზით საჭიროა ყველა უმაღლესი ორგანოების ყურადღება და დახმარება. ამით ჩვენ შევსძლებთ საბოლოოდ ჩვენი გლეხის ნივთიერ მდგომარეობის გაჯანსაღებას.

**კამათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარშემო.**

ამხ. **გუსეინოვის** მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მრავალმა დეპუტატმა განსაკუთრებით გლეხებმა.

მათ აღნიშნეს უმთავრესად სამი აუცილებელი საჭიროება.

1. გადასახადის შეფარდებულათ გაწერის შემოღების საჭიროება. (მაგ. ღვინის შესახებ არ შეიძლება კახეთის მევენახეს და აფხაზეთის მევენახეს ერთნაირათ შეაწერო და სხვ.)

2) გადახდის ვადის დაწესების საჭიროება. აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სათითაოდ მაზრების მდგომარეობა.

3) თვით-დაბეგვრის უფლებების მიცემა სოფლისათვის.

ამავე დროს უნდა ედევნოს თვალყური ამ საქმეს ისე, რომ ამ დარგში რაიმე ბოროტმოქმედებას არ ექნეს ადგილი. ამით გლეხობა გამოიჩენს მეტ უნარიანობას. ზოგი ამხანაგები მოითხოვდენ რამოდენიმე ღარიბ მაზრების გადასახადებისაგან სავსებით განთავისუფლებას. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრ. ამხ. **ჩამბა** (აფხაზეთიდან) **აირაპეტიანმა**. (სომხეთიდან) **ბახტაძემ** (აფხაზეთიდან) **ჩახნაშვილმა** (კახეთიდან) **ალიტაკიზადემ** (აზერბეიჯანიდან) **იბრაგიმ-კიზიმ** (აზერბეჯანიდან) და სხვ.

მეხუთე სხდომა დაიხურა ღამის 9 საათზე.

# სრ. საქართველოს ცენტ. აღმ. კომიტეტის პირველი სესია

გუშინ, 13 აპრილს შესდგა სრ. საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს ცენტ. აღმას. კომიტეტის პირველი სესია ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იდგა არჩევნები ცაკის პრეზიდიუმისა და სახ. კომისართა საბჭოსი.

პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: **ფილიპე მახარაძე**, **სილ. თოდრია**, **ლ. სუხიშვილი**, **მიხ. კახიანი**. **ქართველიშვილი**, **ახრიბეკოვი**, **ვ. სტურუა**, **მარიამ ორახელაშვილი**, **ა. გეგეჭკორი**, **პ. მელაძე**, **მათიკაშვილი**, **ყურშლაშვილი**, **ბურჯანაძე**, **ლაკობა** (აფხაზეთიდან) **ხიმშიაშვილი** (აჭარა) **ჯატიევი** (სამხრეთ ოსეთი) **და მელაძე**.

მათ კანდიდატებათ: **ვოლსკი**, **ივ. სტეფანოვი**, **ვარძიელი**, **კუჭაიძე**, **ხარაბაძე**, **ლომაშვილი და ოლღა ასემაშვილი**.

იმავე სხდომაზე ცაკმა დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი შემადგენლობა.

1. შალვა ელიავა სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე.
2. სიმონ ჯუღელი სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარის 1-ლი მოადგილე.
3. ალ. გეგეჭკორი მიწადმოქმედების კომისარი და სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარის მე-2 მოადგილე.
4. დავით კანდელაკი—განათლების სახალხო კომისარი.
5. გრ. კუჭაიძე—ჯანმრთელობის სახ. კომისარი.
6. თედო ღლონტი—ფინ. სახ. კომ—ის რწმუნებული.
7. ვარძიელი—იუსტიციის სახ. კომისარი.
8. არჩ. მიქაძე—შრომის სახ. კომისარი.
9. ქურიკაშვილი—სახ. მეურ. უმ. საბ. თავმჯდომარე.
10. კვანტალიანი—საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.
11. დოლიძე—მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარი.
12. მათიკაშვილი—შინაგან საქმეთა სახ. კომისარი.
13. კ. ხომერიკი—სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარი.
14. გამყრელიძე—ა. კ' შინავაჭრობის კომისრის რწმუნებული.
15. ხუტულაშვილი ვალ.—სამხედრო კომისარი.

ცაკის მორიგი სესია მოწვეულ იქნება აფხაზეთში.

# სამხედრო საქმე

## ჯარების მოთავსება ვაგონებში.

ომის დროს ჯარების გადაყვანა რკინის გზებით ყოველი ოპერაციის წარმატების ერთი უმთავრეს პირობათაგანია. ხშირად სულ მცირე შეფერხება ჯარის გადაყვანის საქმეში დამღუპველ გავლენას ახდენს კარგად მოფიქრებულ ბრძოლის წარმოებაზე: ჯარები ვერ ასწრებენ თავის დროზე მისვლას ბრძოლის ველზე და ამით საშუალება ეძლევა მტერს ნაწილ-ნაწილად დაამარცხოს მოწინააღმდეგე.

რათა აშორებულ იქნას თავიდან ის ცუდი შედეგები, რომლებსაც იწვევს ჯარების თავის დროზე გადაუყვანლობა, ჯარები ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს სწავლობენ რკინის გზებზე გადაყვანის ყველა წესებს.

ვაგონებში ჯარის სწრაფად მოთავსებასა და გადმოყვანას დიდი მნიშვნელობა აქვს რკინის გზის წესიერად მუშაობაში. წარმოვიდგინოთ, რომ ნაწილმა ვერ მოასწრო ვაგონში მოთავსება იმ დროს განმავლობაში, რომელიც დანიშნული ჰქონდა მას.

ამის გამო მატარებელი იგვიანებს გასვლას.

მაგრამ ეს ცოტაა: ამით ირღვევა სხვა მატარებლების მიმოსვლის წესი.

ამ რიგად ერთი ნაწილის შეფერხება გავლენას ახდენს ჯარების გადაყვანის საერთო გეგმაზე.

ახლო მომავალში ბევრი ნაწილი გადაყვანილ იქნება რკინის გზით საბანაკოდ.

მეომრების შესხდომა, ცხენების შეყვანა და საბარგულებისა და სხვა ბარგების მოთავსება ვაგონებში მთელ რიგ პრაქტიკულ გამოცდილებას მისცემს და დაახელოვნებს ჯარს ამ მუშაობის სწრაფად შესრულებაში.

პირველ ყოვლისა ჯარები მოკლედ უნდა გაეცნონ, თუ როგორ ეწყობა თაროები ვაგონში ღამით ან დღისით გამგზავრების დროს, როგორ ეწყობა მოძრავი ხიდეები, როგორ სხდებიან წითელ არმიელები, როგორ თავსდება ვაგონში თოფები, საჭურველი, ამუნიცია, ცხენების საკვები მასალა და სხვა.

ამას გარდა აქვე ეცნობიან თუ როგორ უნდა იქნას გადაკეთებული ადამიანების გადასაყვანი ვაგონი ცხენების გადასაყვანად და პირიქით.

შემდეგ მეომრებმა უნდა იცოდენ ცხენების ვაგონებში შეყვანა და გადმოყვანა, დატვირთვა გადმოტვირთვა სხვა და სხვა სიმძიმეების—იარაღის, საბარგულების, მანქანების და სხვა. და, ბოლოს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ გზაში წესრიგის დასაცავად ინიშნებიან თანამდებობის პირები, სახელდობრ: მატარებელში მოთავსებულ ჯარის (ეშელონის) უფროსი, ვაგონის უფროსი, მორიგეები და სხვა. მათი მოვალეობა ყველას უნდა ესმოდეს.

ამ რიგად, შესხდომა—გადმოსვლისა და დატვირთვა—გადმოტვირთვის სწავლება საბრძოლო მომზადების საკმაოდ სერიოზული ნაწილია.

## ჯარების მოქმედება ღამით.

მომავალ ომებში ფართედ იქნება გამოყენებული ყოველგვარი ტეხნიკა. საქმე გვექნება განსაკუთრებით დიდძალ ჰაეროპლანებთან, რომელთაგანაც ძნელია თავის დაფარვა

მაგრამ მთელ ამ ტეხნიკას უნდა დაუპირდაპიროთ ჩვენი ტეხნიკა, რომელიც არ უნდა იყოს მტრის ტეხნიკაზე ნაკლები.

თუ, მაგალითად, რომელიმე ფრონტზე ნაკლები ჰაეროპლანები გვეყოლება, ვინემ მტერს, იმ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ღამით. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ჰაეროპლანი ღამით ვერ ხედავს თუ რა ხდება დაბლა, მიწაზე. ხოლო თუ პროჟექტორს აამუშავებს, ჩვენ მოვასწრებთ დაფარვას და შემდეგ კი გავაკეთებთ თავის საქმეს.

იმისათვის, რომ დაფარულად მივეპაროთ მტერს და მოულოდნელად გადავიდეთ იერიშზე (ხიშტებით), ჩვენ კარგად უნდა შევასრულოთ მოძრაობა ღამით და უნდა შევძლოთ ბრძოლის წარმოება ღამითვე.

ღამით ბრძოლა ისეთი არ არის, როგორც დღისით. ღამით ცუდად სჩანს ყველაფერი. ჩქარა შეიძლება გაწყდეს კავშირი ნაწილებს (გუნდებსა და მწყობრებს) შორის. საერთოდ ადამიანი შთაბეჭდილებიანია და ის ყოველგვარ შრიალს, ფეხის ხმას და სიჩუმის დამრღვევ ხმებს ყურადღებას აქცევს, რაიც ხშირად იწვევს დროს უბრალოდ დაკარგვას. ღამით მოძრაობის სისწრაფე ნელდება, გზა ცუდი და უცხოდ გეჩვენება, თითქოს დღისით არც კი გაგვევლოს ზედ. ყოველივე ამას იწვევს ღამის სიბნელე.

მაგრამ ღამით მოქმედება (მოძრაობა და მოქმედება) ხშირად ხელსაყრელი და აუცილებელია. თუ მტრის დამარცხება ძნელია დღისით იმიტომ რომ ის უფრო ძლიერია და ახლოს არ მიგიშვებს, იმ შემთხვევაში უმჯობესია შეუტიო მას ღამით. მაგრამ ამისათვის კარგად უნდა იცოდე ადგილ-მდებარეობა (გზები, მაღლობი, ღელეები და სხვა). ჯერ კიდევ დღისით უნდა დაზვერო ადგილი და აღნიშნო თუ რომელ ნაწილმა რა უნდა გააკეთოს ღამით. არაფერი არ მოვლა და ეშმაკური ძანევრები ღამით არ უნდა ხდებოდეს. უნდა ეცადო ყველაფერი უბრალოდ და გასაგებად სწარმოებდეს, რათა ყოველ მეომარს ესმოდეს კარგად თავისი ამოცანა.

მტრისკენ მოძრაობა უნდა სწარმოებდეს სწრაფად, შეუფერებლივ და რაც შეიძლება, ჩუმად, უხმაუროდ. საჭურველი (განსაკუთრებით ბარი, ქვაბი და ასეთები) უნდა გაიკეთო ისე, რათა ერთი-მეორეზე არ ხვდებოდეს და ხმაურს არ იწვევდეს. ლაპარაკი და თამბაქოს წევა არ შეიძლება. უნდა ეცადო ერთი მეორესთან ახლოს იყო და არ დაშორდე. როცა ნიშანი იქნება ხიშტზე კვეთების შესახებ, ყოველგვარ ხმაურობისა და სროლის გარეშე, თავის უფროსთან ერთად სიჩქარით უნდა მიქანდე და სრული წესრიგით ეკვეთო მტერს; ამასთან უნდა სცდილობდე დაანგრიო მისი საფარი ხელის ბომბებით (გრანატებით).

# სალამი ამიერ კავკასიის საბჭოების ყრილობას.

ბორჯომის მუშათა და წითელ-არმიელთა შეერთებულ მიტინგზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, რომლებშიაც მიტინგების მონაწილენი მხურვალე პროლეტარულ სალამს უძღვნიან ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობას და უსურვებენ მას ნაყოფიერ მუშაობას მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ.

# საბჭოთა კავშირი მილანიის ბაზრობაზე.

იტალიაში გაიხსნა მორიგს ბაზრობა. ეროვნულ ეკონომიის მინისტრმა აღნიშნა ბაზრობის მნიშვნელობა და მადლობა განუცხადა ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ბელგიის, ჰოლანდიის და ჩეხო-სლოვაკიის მთავრობებს მუდმივი პავილიონების მოწყობისათვის.

სტეფანის სააგენტო აღნიშნავს, რომ სანიმუშო გამოფენებს შორის ამ წელში განირჩევა საფრანგეთის, გერმანიის და საბჭოთა კავშირის ნიმუშები.

# გიტლერი ზრუნავს მოაწყოს ჰინდენბურგი პრეზიდენტად.

გიტლერმა მოუწოდა თავის მომხრეებს მხარი დაუჭირონ ჰინდენბურგის კანდიდატურას. გიტლერი ურჩევს მარქსს უარყოს თავისი კანდიდატურა ჰინდენბურგის სასარგებლოდ.

# 1 ქარ. დივ. ახ. კ. კ. ორგანიზაცია.

(დასასრული)

ჩასაფიქრებელი სურათია ჩვენ თვალწინ სწავლა—განათლების საკითხის გადაშლის დროს შემოდგომის გაწვევის შემდეგ წერა-კითხვის უცოდინარების და მცირე მცოდნეთა რიცხვმა იმატა 8 ნახევარ პრ.; იმავე დროს დაიკლო დაბალი განათლების წევრთა რიცხვმა.

| მიღებული აქვს ცოდნა. | I/VII 24 | I/I--25 | განსხვავება. |
|---|---|---|---|
| საშუალო | 9,5 | 10,8 | +1,3 |
| დაბალი | 66,1 | 56,4 | —9,7 |
| მცირე მცოდ. | 22,1 | 25,8 | +3,7 |
| არა მცოდნე | 2,3 | 7,0 | +4,7 |

ეს იმით აიხსნება, რომ შემოდგომის გაწვევამ მოგვცა დივიზიაში დიდი რიცხვი წერა-კითხვის უცოდინარ წითელ-არმიელებისა, (და მათ შორის კომკავშირელებისა), რომლებთანაც სწარმოებს ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობა წერა-კითხვის შესასწავლად.

ამ მუშაობის შედეგები ნათელი იქნება მხოლოდ 1925 წლის განმავლობაში და ამიტომ აქ მოყვანილი ცნობები დამახასიათებლად ჯერ ვერ ჩაითვლება.

ახ. კ. კ. წევრთა შორის წერა—კითხვის უცოდინარეობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციისაკენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქმნეს მიქცეული, როგორც ახ. კ. კ. ჯგუფების აგრეთვე დივიზიის პარტორგანიზაციის მიერ.

ეროვნებათა მიკუთვნების შესახებ ცნობები ძლიერ საყურადღებოა.

| | I/VII 24 | I/I--25 | განსხვავება. |
|---|---|---|---|
| ქართველები | 95,0 | 73,0 | —22,0 |
| ოსები | 0,4 | 14,3 | +13.9 |
| სომხები | 3,4 | 10,8 | +7,4 |
| დანარჩენნი | 1.2 | 1,9 | +0,7 |

ამ ცნობებიდან საყურადღებოა ოსების რიცხვის ზრდა. ნაწილობრივ ეს უნდა აიხსნას მით, რომ წინა ცნობებში (1924 წლის ივლისისა) ოსები არ იყვნენ სწორედ აყვანილი აღრიცხვაზე და ხშირად ისინი ქართველებად ითვლებოდნენ. სწორ აღრიცხვის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ოსების რიცხვი ახ. კომკავშირელთა შემადგენლობაში. გაიზარდა აგრეთვე სომხები და დანარჩენნი. დივიზიის ორგანიზაციამ ამ მოვლენას უნდა გაუწიოს ანგარიში და ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობა ახ. კ. კავშირელებში დაუდვას საფუძვლად მთელ თავის მუშაობას.

უკანასკნელად შევეხოთ წითელ-არმიაში უოფნის პროცენტულ შეფარდებას. 80,6 პრ. იმყოფება წითელ-არმიაში 1924 წლიდან, 5 პროც.—1923 წ. 3,8 პროც.—1922 წლიდან, 10,6 პროც.—1921 წლიდან.

ასეთია დახასიათება 1 ქართ. დივიზიის ახ. კ. კ. შემადგენლობისა, რომელიც არის რეზერვი და იმედი კომუნისტური პარტიისა.

ი. რუდოვსკი.

# პარტიული ცხოვრება.

## კომუჯრედებმა უნდა იცოდენ თავისი მოვალეობანი.

ზოგიერთი კომუჯრედების წევრებსაც ნაკლები წარმოდგენა აქვთ საადმინისტრაციო ფუნქციებზე, რაც ხშირათ გაუგებრობასაც იწვევს ნაწილების ცხოვრებაში. კომუჯრედი ზოგიერთ შემთხვევაში სამწყობრო-საადმინისტრაციო შინაარსის საკითხებს აყენებს კრებაზე და გამოაქვს ერთგვარი განაჩენი. ასეთი მოქმედება უჯრედების და ბიუროების მხრით სრულიათ ეწინააღმდეგება სამხედრო პარტიულ სტრუქტურას. ჩვენი სამხედრო უჯრედების უფლებები უფრო სხვა ხასიათის არიან, ვიდრე სამოქალაქოსი, მაგრამ არც ამ უკანასკნელთა უჯრედებსაც არ აქვთ ადმინისტრატიული უფლებების სარგებლობის ნება. ამის მაგალითები ბევრი აღმოჩნდა უჯრედების გასინჯვის დროს, რაც უჯრედების მუშაობაში უარყოფითად უნდა ჩაითვალოს.

მაგალითისათვის ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე შემთხვევას, რომელსაც ადგილი ქონდა, როგორც ქართულ ისე რუსულ ნაწილებშიც. პირველ შემთხვევაში, უჯრედში ისმება საკითხი ნაწილის უფროსის მუშაობის შესახებ. შემდეგ კრება აღნიშნავს, რომ ნაწილის უფროსის მუშაობა იქნეს შეფასებული არა დამაკმაყოფილებლათ და წინადადებას აძლევს ნაწილის უფროსს შემდეგში აღნიშნული ნაკლები იქნეს გამოსწორებული. მეორე შემთხვევაში უჯრედი ადგენს, მიენდოს რამოდენიმე ამხანაგებს, რომ მათ დილით ადგენ ყველაზე ადრე და მიაქციონ ყურადღება ყველა კურსანტების ჩაცმულობას და იმას მათი ლოგინი გასწორებულია თუ არა. მეორე შემთხვევა: დისციპლინარული სასჯელი ეძლევა ამა თუ იმ კურსანტს და ამ შემთხვევაში უჯრედი იხილავს საქმეს და სამწყობრო დარგის უფროსს პასუხს სთხოვს, თუ რატომ მან დასაჯა ესა თუ ის პირი. ყველა აღნიშნული მაგალითიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ უჯრედი ეს ყველაფერია ნაწილში და სამწყობრო დარგიც მის ზევავლენის ქვეშ უნდა იყოს. უჯრედის ასეთი მოქმედება თავის მოვალეობათა და ფუნქციების არ ცოდნას ნიშნავს. ჩვენს ნაწილებში და განსაკუთრებით სამხედრო სკოლებში საქმარისად გვყავს პასუხის მგებელი მომუშავეები, რომლებიც განაგებენ, როგორც პოლიტიკურ მუშაობის მხარეებს, აგრეთვე სამწყობრო საქმესაც. ამავე დროს ხდება ისეთი გაუგებრობა, რომელიც ზემოთ ავღნიშნეთ. აქ უსათუოდ მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ, რაც საშვალებას მოგვცემს კითხვის სწორეთ გადასაჭრელათ. ეს არის ჩვენის აზრით უჯრედების და ბიუროების ჩამოშორება და დაუკავშირებლობა ნაწილის პასუხის მგებელ ამხანაგთან. ჩვენს ნაწილის ორგანიზაციებს, რომ მჭიდრო კავშირი ქონდეთ ნაწილის ხელმძღვანელ ამხანაგებთან, მაშინ არავითარ უჯრედების და ბიუროების ჩარევას არ ექნება ადგილი საადმინისტრაციო-სამწყობრო დარგებში. ამიტომ შემდეგში, რომ ადგილი არ ექნეს უჯრედების მიერ თავიანთი უფლების გადაჭარბებას საჭირო იქნება უჯრედებში დასვან და გაარჩიონ საკითხი უჯრედების უფლებების შესახებ სამხედრო დარგში. მხოლოთ მომხსენებელი წინასწარ უნდა გაეცნოს სამხედრო დარგის უჯრედების სათანადო დებულებებს.

ს. ლომიძე.

### 1-ლ ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედის საქმიანობა.

ჩვენი 1-ლი ასეულის კომუჯრედში ირიცხება 4 წევრი 6 კანდიდატი 12 კომკავშირელი. კრებები იმართება კვირაში თითოჯერ სისტემატიურად. კეთდება მოხსენებები, როგორც პარტიული, უფპოლიტშემადგენლობისგან ისე წ. მოლაშქრეებიდან. დღის წესრიგს გვაძლევს ბიურო კოლექტივი და ხან თვით უჯრედი იმუშავებს.

კომუჯრედის ღია კრებებზე უპარტიო წ. მოლაშქრეების სამოცი პროცენტი ესწრება. ამასთანავე ჩვენი უჯრედის წევრები ჩაბმული არიან კულტ—საგანათლებლო მუშაობაში, რაც გამოიხატება ლეგიონის კუთხის ხელმძღვანელობაში. საღამოობით საუბრების ჩატარებაში და სხვა. კომუჯრედს ამასთანავე ერთად აქვს თავისი ყოველ კვირეული ორგანო-კედლის გაზეთი „მებრძოლი". დიდი ხანი არ არის რაც გაზეთის გამოშვება დაიწყო და ამჟამად კი 8-ე ნომერი გამოვიდა.

უჯრედის მეთაურობით და პოლიტხელის აქტიური მონაწილეობით ასეულში გამოდის სამ თვიური ჟურნალი „სინათლე". როგორც კედლის გაზეთში, ისე ჟურნალში უფრო მეტად თანამშრომლობენ წ. მოლაშქრეები.

პარტკორი შ. კვინიკაძე.

## რას გვიკეთებენ აქლემები.

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდს ჰყავს ორი უშველებელი აქლემი. ერთი წელიწადი სრულდება რაც აქა ვართ და ჯერ ამ აქლემების გაკეთებული არა გვინახავს რა, მხოლოდ სჭამენ და სხვა არაფერი. ოთხი ცხენის ოდენა საკვები კი სჭირდებათ.

უკეთესი იქნება ამ აქლემებს მოვიცილებდეთ თავიდან და ცხენებს შევიძენდეთ მათ ნაცვლად, რომლებიც მეტ სარგებლობას მოგვიტანებენ.

წ. არმ. გ. მა—შვილი.




## 2-რე ქართულ მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების სახელზე მოვიდა შემდეგი მისალმების დეპეშა:

**მეოთხე ლეგიონის ცვალებად შემადგენლობის პირველი კონფერენცია გიძღვნით მხურვალე სალამს. ვსდებთ წითელ მხედრულ ფიცსა, რომ პირველსავე გამოძახილზე, როგორც ერთი დავსდგეთ მუშურ გლეხურ ხელისუფლების და ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავათ.**

**კონფერენციის მონდობილობით**

**პრეზიდიუმი.**

## მეექვსე ლეგიონის ცხოვრებიდან.

ამ ბოლო ხანებში ჩვენი ლეგიონი ძლიერ გამოცოცხლდა. ყოველ დარგში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. ლენინის კუთხეები საერთო თავშესაყარი და სამეცადინო ადგილებად არიან გადაქცეული ლეგიონში. იშვიათად მოწყობილი კუთხეები, არც გასაკვირალია, რომ ესოდენ ძლიერად იზიდავდენ წითელ-არმიელთა ფართო მასებს.

ლეგიონს სხვა შინაარსის კუთხეებიც აქვს მოწყობილი. გვაქვს ჯანმრთელობის და სამხედრო ხელოვნების კუთხეები.

სხვა და სხვა ხასიათის წრეებშიც დიდი მუშაობაა. ყველგან წითელ-არმიელთა ფართო მასები იღებენ მონაწილეობას.

ბიბლიოთეკა თავის სიმაღლეზე სდგას. მკითხველთა რიცხვი შესამჩნევია.

ლეგიონში დაარსებულია აგრეთვე პოლიტსკოლა, სადაც მსმენელთა უმრავლესობა წითელ არმიელებია. მეცადინეობა ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებლად მიდის.

საკლუბო მუშაობა მთლიანად დამაკმაყოფილებელია წითელ-არმიელების ჩათრევას აქაც დიდი ყურადღება ექცევა.

იმედია ჩვენი ხელმძღვანელების ენერგია არ შესუსტდება მომავალშიც და ქართულ ნაწილებს შორის სათანადო ადგილი გვექნება.

სამხკორი გიოშვილი.

## მომზადებულ წვევამდელების პირველი წყება უკვე გაუშვით.

**5-თე ლეგ. 2-რე ათასეული.**

ჩვენს ათასეულში პირველ მარტიდან დაიწყო წვევამდელთა მეცადინეობა. ყველა წერტები კარგად იყვნენ მოწყობილი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

ჩვენს განკარგულებაში იყო ორი მოზრდო სახლი საწოლი ბინებით და სამზარეულოებით, სადაც ათევდენ ღამეებს შორეული კუთხეებიდან ჩამოსული წვევამდელები.

მეცადინეობა ძლიერ ნაყოფიერად მიმდინარეობდა. ქვქონდა საუცხოვოდ მოწყობილი ლენინის კუთხეები. ჟურნალ გაზეთები ბლომად მოგვდიოდა და ეხლაც მოგვდის. მკითხველები ყოველთვის ბლომად იყრიდენ თავს კუთხეებში და ხმამაღალ კითხვასთან ერთად სწარმოებდა სხვა და სხვა საუბრებიც.

მარტის უკანასკნელ რიცხვებში გაუშვით, შორეული თემებიდან ჩამოსული წვევამდელების პირველი მომზადებული წყება.

დანარჩენებთან გამუდმებულად სწარმოებს ამ ჟამად მეცადინეობა.

მებრძოლი.

## რიგი ჩვენზეა!

ქართველ მეთაურთა სკოლაში საღამო—წარმოდგენებს ასეულები და განყოფილებები მორიგეობით მართავენ...

რიგი მიდგა სკოლის სამნეო და სამწყობრო—წითელ არმიელთა გუნდებზე..

31 მარტიდან ისინი სიხარულით შეუდგენ მუშაობას.

განიხილეს კურსანტის მიერ დაწერილი—ანტირელიგიოზური პიესა „სადა აქვს სინდისი?!" და მიიღეს დასადგმელად...

მონაწილეობას იღებენ პოლიტხელები, გუნდის უფროსები და 15-მდე წითელ არმიელი.

წითელ არმიელთა შორის გამოჩეული არიან მომღერლები, მეთარე, მეფანდურე და მოცეკვავეები...

პოლიტხელები უკვე შეუდგნენ „ანტირელიგიოზურ საუბრების" მზადებას; უფრო საინტერესო შევა საღამოს პროგრამაში.

საღამოსათვის მზადდება აგრეთვე შესაფერი კუპლეტები და ლექსები...

ჩვენი.

## მოსპეთ ნაკლოვანებანი

**ქსენონს ყურადღება არ ექცევა.**

**ავადმყოფი არმიელები ყაზარმაში არიან მოთავსებული.**

პირველ ხანებში ჩვენი მეოთხე ლეგიონის ქსენონი კარგად იყო დაყენებული. წამლებიც მოგვეპოვებოდა და ექიმებიც ყურადღებით ექცეოდენ ავადმყოფებს, კვირაში ორჯერ ტარდებოდა საუბრები სანიტსაათიდან.

ამ ბოლო ხანებში ქსენონი თანდათან გაუარესდა. სანიტ-საათები ეხლა ორ კვირაში ერთხელ იკითხება და ხშირად სულაც არა.

მედიკამენტებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ვერ გაგვიგია ქსენონში წამლები საერთოდ არ მოიპოვება თუ დაუდევრობას აქვს ადგილი?

ავადმყოფი არმიელები არ გადაყავთ ქსენონში და პირდაპირ ყაზარმაში წევან. ამის მოწამეა ლეგიონის საკავშირო გუნდი. ავადმყოფი სრულიად უწამლოთ არის მიტოვებული.

დროა ლეგიონის მესვეურებმა და უფროსმა ექიმმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას.

სამხკორი მ. ქაჩიაშვილი.

## როგორ ვცხოვრობთ.

**მეოთხე ლეგ. 6-ხე ასეული.**

ასეულის კმაყოფის საქმე ვერ არის დაყენებული კარგ ნიადაგზე.

საკუთარ ლეგიონიდან მეტად დაცილებული და შორს ვიმყოფებით.

აქამდე სურსათს ვღებულობდით ქუთაისის მეხუთე ლეგიონიდან. ამ უკანასკნელ ხანებში ლეგიონმა გადმოგვიგზავნა ფული, მაგრამ აქისეთი სიძვირეა, რომ ბევრს ვერაფერს შევიძენთ.

ლეგიონიდან ვღებულობთ ხორცის ფულს ფუთზე 7 მანეთს, აქ კი ღირს რვა-ცხრა მანეთამდის, ქბილზე ვღებულობთ ცხრა აბაზს ფუთზე, აქ კი ღირს თორმეტი აბაზი. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და სათანადო ანგარიში გაეწიოს ჩვენს ასეულს.

მეცადინეობას ასეულში დიდი ყურადღება ექცევა.

**პოლიტსაათი.**

პოლიტსაათები ტარდება სისტემატიურათ. სხვა და სხვა ხასიათის საუბრებს ნაკლები დრო არა აქვს დათმობილი. არმიელები ყველაფერში დიდ მონდომებას და ინტერესს იჩენენ.

**წვევამდელები.**

რაჭის მაზრაში არის ორი სამეცადინო პუნქტი ერთი თვითონში და მეორე სორში.

წვევამდელებში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში 4 დღე.

დეზერტირობას ადგილი არ აქვს. უმეტესობა არიან კომკავშირის წევრები და მოწაფეები.

**საკლუბო მუშაობა.**

საკლუბო მუშაობა ეს მეორე კვირაა, რაც დაიწყო. არსებობს სამი წრე: პოლიტიკური, დრამატიული, ლიტერატურული. წრის ხელმძღვანელები გამოყოფილი არიან ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ორგანიზაციიდან.

**საბიბლიოთეკო მუშაობა.**

ასეულს აქვს კარგი სამკითხველო, სადაც მოიპოება 105 წიგნამდე.

სამკითხველოში წ. არმიელების გარდა შემოდიან ადგილობრივი მოსამსახურეები და კითხულობენ როგორც წიგნებს, ისე გაზეთ „წითელ არმიელს", და ეცნობიან წითელი ჯარის ცხოვრებას.

**ლენინის კუთხე.**

ლენინის კუთხე არა გვაქვს მოწყობილი სათანადოთ, რადგანაც არ მოგვეპოვება საჭირო თანხა და სიღარიბის გამო ვერ გვეხმარება ადგილობრივი ხელისუფლება. საჭიროა კუთხის ძოსაწყობი თანხა გაიღოს ლეგიონის კლუბმა.

**სხვა მუშაობანი.**

ასეულს აღებული აქვს კულტშეფობა სოფ. ჭალაზე, სადაც გავხსენით სამკითხველო და გამოუწერეთ გაზეთი „ახალი სოფელი" და აგრეთვე უგზავნით გაზეთ „წითელ არმიელს". ხშირად მივდივართ აგრეთვე სხვა და სხვა მოხსენებების წასაკითხად ადგილობრივ გლეხობასთან.

ასეულის წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარები სრულებით არ მოიპოებიან, რადგან უმეტესობა კომკავშირის წევრები და მოწაფეებია.

ტერადმშენებლობაზე მაზრაში მხოლოდ ორ რაიონში მოვასწარით კამპანიის ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იქნება შემდეგი?

ყოველთვიურათ ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

**ტფილისიდან:** ოტიაშვილს (ქალაქის წყალ—სადენი), ვაშაკიძე ვალერიანს (დორ—პროფსოჟი), ულუხანოვს ხორენს მე-3 ე (რაიკომელს).

**დუშეთიდან:** პარტ—კომის მდივან ამხ. აზრუმელაშვილს და მაზრის სამხკომს ამხ. ხუროძეს.

**თელავი:** კარჭაულს (მაზრის აგიტ—პროპის უფროსს) ხოშტარია სიმონს, გარსევანიშვილს (სამაზრო ლენ—კომკავშირის მდივანს) სოსელიას (ლ. კ. კ. აგიტ-პროპი).

**ლიუქსემბურგი:** ალი—ტაგი—ზადეს (პარტ—კომის მდივანს), შაბანოვს (ალმასკომის თავმჯდომარეს).

**მე 6-ე ლეგ.** ლეგთავ გრიგოლიას, ვიქტორ ჯაფარიძეს, ლ. ზაუტაშვილს შ. ნამგალაძეს, მაჭავარიანს, მოზდოკელს, წივწივაძეს, ცხვედიანს, იორამაშვილს, გ. ადამიას, ა. სტურუას, კ. სტურუას, ვ' ლორთქიფანიძეს, კ. ასათიანს, დ. ჭანკვეტაძეს და დ. ჭანტურიშვილს.—

სამხედრო კომისარი **ბერიძე.**

---

სხვაგან ჯერ-ჯერობით ამის გარშემო არაფერი გაგვიკეთებია.

სამხედრო მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურათ თუ წინად ადგილი ქონდა ამ მხრივ საგრძნობ დეფექტებს, ამ ჟამად ისინი გამოსწორებული არიან.

**დღესასწაულის ჩატარება.**

სხვა და სხვა დღესასწაულების ჩატარებაში ჩვენი ასეული აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად.

**ტანსაცმელი.**

ჩვენი ასეულის მუდმივ შემადგენლობის წითელ არმიელებს შემოაცვდათ ტანსაცმელი.

საჭიროა ამ გარემოებასაც სათანადო ყურადღება მიექცეოდეს ლეგიონისაგან.

**საჭიროა გადაჯგუფება.**

ასეულში ირიცხება 11 უნცროს მეთაური. მათ შორის 9 არის აფხაზები, რომლებსაც ძალიან უჭირთ ლაპარაკი ქართულათ. კარგი იქნებოდა რომ მოახდენდენ გადაჯგუფებას და მათ ნაცვლათ მოგვცემდენ ისეთ უნცროს მეთაურებს, რომლებსაც კარგად ესოდინებათ ქართული ენა.

პოლიტხელი **გაბისონია.**

---

# დაკავლებებს პირნათლად შევას-რულებთ.

აპრილის პირველ რიცხვებში ლეგიონის საკავშირო გუნდში გვესტუმრა წ. არმიის კავშირის ინსტრუქტორი ამხ. გულინი.

სტუმარს დიდი სიხარულით შეეგება გუნდის მთელი შემადგენლობა.

პირველად ამხანაგი დაესწრო გუნდის სპეციალურ მეცადინეობას და მრავალ შეკითხვებს აძლევდა.

პასუხს ყოველთვის გარკვეულად და სწორედ აძლევდენ არმიელები. ამ გარემოებამ ძლიერ ასიამოვნა ჩვენი სტუმარი.

შემდეგ ამხ. გულინმა გაგვიკეთა მოხსენება საერთოდ კავშირის შესახებ. გაგვაცნო კავშირის დანიშნულება, როგორ უნდა იყოს მომზადებული თითეული წითელ-არმიელი, რა პრინციპზე უნდა მუშაობდეს კავშირი და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია კარგად მომზადებულ მოლაშქრეს, როგორც სამხედრო სამსახურში, ისე სხვა პირობებში და სხვა დროს.

მოხსენება ძლიერ შინაარსიანი იყო და ბევრი საჭირო ცნობები მოგვაწოდა გუნდის შემადგენლობას.

ვეცდებით სისრულეში მოვიყვანოთ ამხ. გულინის დავალებანი.

სამხკორი **ხუტა.**

---

# თვალდახუჭულები ტყვიას როგორ გაარ-ტყამდენ ნიშანში?

7 აპრილი მშვენიერი დღე გათენდა. პირველი ლეგიონის მესამე ასეული, ჯერ კიდევ მზე არ ამოსულიყო, რომ უკვე ფეხზე იდგა და სროლაში მეხუთე ვარჯიშისათვის ემზადებოდა.

ყოველ ვარჯიშზე სხვა და სხვა მდგომარეობით სწარმოებდა სროლა. ასევე უნდა მომხდარიყო 5-თე ვარჯიშზე.

ორ-ორი ვაზნა ჩოქით უნდა გაგვესროლა და ორ-ორიც ჯდომით...

სროლისათვის მზადება უკვე დაიწყო... გამარჯვებისათვის საჭირო იყო სამგულაზე 15 სანტიმეტრის შიგნით მორტყმა...

პირველ რიგში უკვე გავიდენ რამოდენიმე ამხანაგები.

ასეულის უფროსმა ერთხელ კიდევ გაგვიმეორა სროლის წესები. მოგვაგონა ყველაფერი და თან დაუმატა: „პირველი მაისიდან იწყება შვებულებები. ვინც კარგად ისვრის და შეასრულებს მორტყმის რიცხვს, პირველ რიგში წავა შვებულებაში-ო...

ამ გარემოებამ უფრო გამოაფხიზლა ამხანაგები. მოიკრიფეს მთელი ძალღონე, სითამამე და გამოცდილება...

მხოლოდ სამი ამხანაგი თავიდანვე ვერ დადგენ კარგ ხასიათზე... უგულოდ ეჭირად ხელში თოფები...

დაიწყო სროლა... ჩაჩოქილი სროლით გაიმარჯვეს პირველად გასულებმა. ჯდომითაც...

„ვენაცვალე შენს ჩამომსხმელს“!—გაიძახის ერთი და გახარებული ატრიალებს ხელში თოფს.—ტყვია შუა გულში ჩავაჯინე.—მოგვილოცავს, მოგვილოცავს—გაისმა წითელ არმიელების ხმა. სახლში პირველად წავალ.

თითქმის ყველამ გაიმარჯვა გარდა იმ სამი ამხანაგისა, რომლებსაც ეშინოდათ თავისი-თავის.

ვერც ერთმა ტყვია ვერ მიაკარეს ნიშანს.

დარცხვენილები იმართლებდენ თავს: თოფები გვაქვს ცუდიო.

— მაშ ეხლა მე გავისვრი მაგათი თოფებით—წამოიძახა ერთმა მეთაურმა და მყისვე დაუმიზნა თოფი ნიშანს... გავარდა აიშვა მორტყმის ნიშანი. თოფის პატრონს შერცხვა...

— ეე შვილოსა, თოფი კი ვარგა, მაგრამ მსროლელი სუსტობს როგორც ეტყობა.

გამოირკვა, რომ ისინი მართლა ხუჭავდენ თვალებს გასროლის დროს.

უფროსებმა განმეორებით აუხსნეს მათ სროლის წესები და გააფრთხილეს შემდეგში არ დამართოდათ ასე.

სამხკორი **ტბისერელი.**

---

# ჩვენი ბიბლიოთეკის გარშემო.

**მესამე ლეგიონი.**

ჩვენი ბიბლიოთეკა ძლიერ გამოკეთდა ამ უკანასკნელ ხანებში. ის მოთავსებული იქნა სათანადოთ მეხერხებულ შენობაში, შეძენილი იქნა საჭირო ინვენტარი და წიგნები. ბიბლიოთეკას თავისი განყოფილებები აქვს ლეგიონის ასეულების ლენინის კუთხეებში. მეორე და პირველი ათასეულებში კი დაარსებულია მოძრავი ბიბლიოთეკები; წიგნების გაცემა უხვად სწარმოებს საღამოობით.

ამ ჟამად ლეგიონში ტარდება წიგნის კამპანია, რომელსაც უმთავრესი ყურადღება ექცევა ლეგიონის მთელი შემადგენლობის მიერ. მეთაურები დაინტერესებული არიან ბიბლიოთეკით, რაც იქედანაც ჩანს, რომ თავიანთი ჯამაგირებიდან წვლილის ვაღებით, გამოუწერეს მას 300 მანეთის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

ამ რამოდენიმე დღის წინად გაიმართა ლეგიონში წიგნის საღამო. მოვისმინეთ მოხსენება წიგნის მნიშვნელობის შესახებ, შემდეგ კი გაიმართა წიგნის ცუდათ მომპყრობი არმიელის გასამართლება, რაც ძლიერ შინაარსიანათ ჩატარდა.

სამხკორი **ჭოლელი.**

---

# წიგნებს ცუდათ ეპყრობიან.

**საარტილერიო ლეგიონი.**

პირველი საარტილერიო ლეგიონის მესამე სამთო ბატარეიას აქვს მშვენივრად მოწყობილი წითელი კუთხე.

ის მდიდარია შესაფერი ლიტერატურით. მკითხველთა მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს. ყველა სარგებლობენ ამ წიგნებით, მაგრამ საუბედუროდ ამანაგები სრულიად არ უფრთხილდებიან მათ.

კუთხეში დაბრუნებულ წიგნებს პირდაპირ აღარ მოეკიდება ხელი. ათასგვარი წარწერები, უსუფთაოდ მოპყრობა და ზოგიერთ შემთხვევაში ამოგლეჯილი ფურცლები ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს წიგნის მოყვარულ მკითხველებზე.

საჭიროა ჩვენმა არმიელებმა შეიგნონ საბოლოოდ, თუ როგორ უნდა წიგნისადმი მოპყრობა.

კუთხის გამგე ენერგიულ აგიტაციას აწარმოებს ამ მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის.

შევიბრალოთ წიგნები, ნუ მოვეპყრობით მათ გულციად.

წ. არმ. **გ. გორდაძე.**

---

# ამბები სოფლებიდან.

**გლეხკომის საქმიანობა.** შორაპნის სამაზრო გლეხკომმა უკვე მოაწყო ერთ ადგილზე შავი ქვის ნაცხრილების საკუთარი წარმოება.

**აგურის ქარხანა თელავში.** თელავის ალმასკომი ფიქრობს ახლო ხანში შეუდგეს კირის საწვავ და აგურის საკეთებელ ქარხნის აგებას.

**წყალსადენი სოფლად.** სოფ. ყურიათუბანში (თელავის მაზ.) გაყავთ კიდევ დამატებითი წყალსადენი, რადგან არსებული წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს სოფლის მოთხოვნილებას.

**დახმარება დაზარალებულებს.** შორაპნის სამაზრო გლეხკომს დახმარება აღმოუჩენია და მცირე ფასებში დაურიგებია თოვლისაგან დაზარალებულთათვის 3.225 მ. საქონლის საკვები და სიმინდი.

**ახალი ვენახები.** თელავის ალმასკომმა გადასწყვიტა ააშენოს საფონდო ადგილებში ახალი ვენახები ნამყენი ვაზით.

**წისქვილის აშენება.** სოფ. ვალეში (ახალც. მაზრა) ადგილობრივი გლეხკომის თაოსნობით, ახლო ხანში შეუდგებიან წისქვილის აგებას.

**სახერხი ქარხანა.** თელავის ალმასკომს განზრახული აქვს მიმდინარე წელში, თელავში ააგოს სახერხი ქარხანა.

**დაფნის ფოთოლის გატანა.** აფხაზეთიდან, მოსკოვში გასატარებლათ გატანილ იქნა ათასი ფუთი დაფნის ფოთოლი.

---

# ახალი ამბები.

— **მევენახეობისათვის** ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასული წლის აპრილიდან მიმდინარე წლის 1-ლ აპრილამდე დახარჯა საქ. სევენახეობის აღსადგენათ 1.030 ათასი მ.

— **ხანძარის წინააღმდეგ.** ტფ. ქალაქის ალმასკომმა გადასწყვიტა გამოსცეს ხანძარის საწინააღმდეგო ზომების შესახებ წიგნაკები და დაარიგოს იგი უფასოთ ხალხში.

— **სამეცნიერო-სატერმინოლოგიო** კომიტეტი დაარსდა განათლების სახ. კომისარიატთან. კომიტეტს დავალებული აქვს გამოიმუშავოს საბოლოო ტერმინები და გამოსცეს ცალკე წიგნაკებათ, მეცნიერების ყველა დარგების შესახებ:

— **შესავ ლი ეზოდან.** ტფილისში არსებულ საცხოვრებელ ბინების 70 ნახევარ პროცენტს, ანუ 31.906 ბინას შესავალი ჰქონია ეზოდან.

— **ფოსტის ახალი ნიშნები.** გამოვიდა ფოსტის ახალი ნიშნები—თითო 14 კაპ.

— **საბურთალოს ჭაობების** ამოსაშრობათ ტფილისის ალმასკომმა გადასდო 26 000 მ.

— **მცირე წლოვანთა დანაშაულობის** შესახებ მარტის განმავლობაში, მცირე წლოვან დამნაშავეთა განმხილველ კომისიაში შემოვიდა 38 საქმე. ბრალი ედება 42 ბავშს.

— **ტანისამოსის დარიგება.** ფოსტა-ტელეგ. კომისარიატმა გადასწყვიტა ძველი დროიდან შემორჩენილი სპეც-ტანისამოსი (ფორმის) დაურიგოს უფასოთ დაბალ მოსამსახურეებს.

— **ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ** ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 200 ათასი მანეთი.

---

# პასუხი შეკითხვებზე

**შეკითხვა.** მე გამოწვეული ვარ 1924 წელში გაზაფხულზე. ვირიცხები საკავშირო ასეულში, 11 თვეა რაც ნაწილში ვარ; ჯერ-ჯერობით ვერ მისარგებლია მოკლე ვადიან შვებულებით.

დანარჩენ ნაწილებში მყოფ, ჩვენთან ერთად გამოწვეულ წითელ არმიელებმა ისარგებლეს შვებულებით, ჩვენთან კი არავის არ უსარგებლია.

გთხოვთ გვიპასუხოთ რაშია საქმე?

წ. არ. თ. **თავართქილიძე.**

**პასუხი.** თანახმად რ. ს. რ. ს. № 821 ბრძანებისა შვებულებანი მოსპობილია. მოკლე ვადიანი შვებულებაში წასვლა შეიძლება მხოლოდ საპატიო მ ზეზების გამო, სათანადო დამტკიცებულ საბუთების წარდგენის შემდეგ და ისიც მხოლოდ ერთი წლის სამსახურის შემდეგ სამი დღიდან ათ დღემდე ვადით.

---

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# განცხადებები.

**დაკარგე** პირადობის მოწმობა გაცემული სამხედრო პოლიტსკოლის მიერ № 281 ხაიმ პასტერნაკის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** სვანეთში გაგზავნის დროს დავკარგე პირველი ქართული დივიზიის პარტკომიტიიდან გაცემული პარტკანდიდატობის ბარათი № 2223, სამხედრო მეთაურთა სკოლის კურსანტ მოსე სერგოს ძე თავაძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

,ნ .დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.